

განმარტებითი შენიშვნები შპს „მომავლის ხედვა“-ს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

1. ზოგადი ინფორმაცია შპს „მომავლის ხედვა“-ს შესახებ

საფირმო სახელწოდება: მომავლის ხედვა

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

საიდენტიფიკაციო ნომერი: **245608640**;

რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 11/12/2007წ;

მარეგისტრირებული ორგანო: ბათუმის საგადასახადო ინსპექცია

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქალაქი ბათუმი, ინასარიძის ქუჩა №11ა

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

დირექტორი - ანდრო კონცელიძე - 61006009484

პარტნიორები

მესაკუთრე

წილი

ზაზა ჯინჭარაძე - 61001002775 - 100%

ცვლილებები

ცვლილებები სარეგისტრაციო დოკუმენტებში

შპს „მომავლის ხედვა“-ს მესაკუთრეების ცვლილება არ მომხდარა შპს-ს დაფუძნებიდან დღემდე. საანგარიშგებო პერიოდში არ მომხდარა დირექტორის ცვლილება.

საწარმოს თავის მხრივ არ ყავს შვილობილი საწარმოები.

საწარმო წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც ეწევა სამშენებლო საქმიანობას, კერძოდ აწარმოებს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების მშენებლობასა და რეალიზაციას როგორც კერძო ასევე იურიდიულ პირებზე. ამასთან საწარმოს გააჩნია შემოსავლები ძირითადი საშუალებების გაქირავებიდან. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საწარმოს მართავს დამფუძნებელი პარტნიორის მიერ დანიშნული დირექტორი ანდრო კონცელიძე (პ/ნ 61006009484).

2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მთავარი ბუღალტერი. ფინანსური ანგარიშგების შედგენას ახორციელებს მთავარი ბუღალტერი.

შესაბამისობა

➤ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად და დაფუძნებულია ორ ძირითად დაშვებებზე: დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო. ფინანსური ანგარიშგების ყველა კომპონენტი და ელემენტი განსაზღვრულია დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

კომპანიის მიმდინარე (2024) წელს ფუნქციონირებადია, მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

ფუნქციონალური ვალუტა

ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარება განხორციელდა ბასს 16-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, შეფასებულია მისი თვითღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება მოხდენილია თვითღირებულების მოდელის მიხედვით.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ნარჩენი (თავდაპირველ ღირებულებას - ცვეთა) ღირებულებით.

ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის პროცესში მათ შეკეთებასთან, ტექნიკურ მომსახურებასთან და სრულყოფასთან დაკავშირებული კაპიტალიზებადი ხარჯებით იზრდება ძირითად საშუალებათა შესაბამისი ჯგუფის ღირებულებითი ბალანსი.

გრძელვადიან აქტივებად, გრძელვადიან ინვესტიციებად, გრძელვადიან სესხებად და კრედიტებად, გრძელვადიან მოთხოვნილებებად და ვალდებულებებად ითვლება ყველა აქტივი ან/და პასივი, საექსპლუატაციოდ გათვლილი ერთ წელზე მეტი ვადით.

ცვეთა. ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი

თითოეული ძირითადი საშუალებისათვის განსაზღვრულია ექსპლოატაციის (ცვეთის) პერიოდი და ცვეთის ღირებულება.

ცვეთადი ღირებულება იანგარიშება, როგორც სხვაობა აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის. ნარჩენი ღირებულება მიიჩნევა,

როგორც არაარსებითი და ამდენად, ნულს უტოლდება. ცვეთადი ღირებულება აქტივის (ძირითადი საშუალების) თვითღირებულების ტოლია.

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გათვალისწინებულია შემდეგომი ფაქტორები:

- საწარმოს მიერ აქტივების მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი;
- სავარაუდო ფიზიკური ცვეთა დამოკიდებული სხვადასხვა ფაქტორებზე;
- ტექნიკური და კომერციული მოძველება, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს კომპანიაში პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან/და გაუმჯობესებით;
- აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვებით.

ცვეთის მეთოდად არჩეულია წრფივი მეთოდი.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობის აღრიცხვა

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულების ჩამოწერა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ლოგიკურად გამომდინარეობს ბასს2-ის მოთხოვნიდან, რომ არ შეიძლება აქტივების აღრიცხვა იმაზე მეტი თანხით, რომლის მიღება შესაძლებელია მათი გაყიდვის ან გამოყენების შედეგად.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეფასება მიმდინარე აღრიცხვაში წარმოებს ფაქტობრივი თვითღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მოძრაობის აღსაღრიცხად გამოიყენება მატერიალურ-ფასეულობათა აღრიცხვის საშუალო შეწონილი მეთოდი.

ხარჯებად აღიარება

მატერიალური ფასეულობების აღიარება ხარჯებად მოხდება მათი ფაქტიურად გახარჯვის (და არა შეძენის) მომენტში.

საბუღალტრო აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ტარდება ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის, ასევე ფულადი

საშუალებებისა და დაუმთავრებელი წარმოების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა/ინვენტარიზაცია.

საქონლის (მომსახურების) რეალიზაციის აღრიცხვა

საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა აღირიცხება ბასს 18-ს მოთხოვნათა შესაბამისად.

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით.

საქონლისა და მომსახურების გაყიდვები ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, უმეტესწილად ხდება კონსიგნაციით გადახდები, მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა. საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევისას დღგ-ს დარიცხვა ხდება სსკ-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

პროცენტები, როიალტები და დივიდენდები ანგარიშგებაში ასახულია ბასს 18-ის 30-ე პუნქტის შესაბამისად.

საკურსო სხვაობების აღიარება

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა, ბასს 21-ის მოთხოვნათა შესაბამისად. 2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

სალაროსა და საანგარიშსწორებო ოპერაციების აღრიცხვა

სხვადასხვა პირებს შორის ანგარიშსწორებისას გამოიყენება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმა.

ანგარიშსწორების ანგარიშით შესრულებული ოპერაციები ედრება ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადაყვანილია ბასს 21-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანაბრებს.

კაპიტალი

საწარმოს კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისგან, რომელიც განსაზღვრულია საწარმოს წესდებით, რომელშიც ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და საწარმოს მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. საწარმოდან პერიოდულად ხდება დივიდენდების გატანა, რომელზეც აგრეთვე გადაწყვეტილებას იღებს დამფუძნებელი პარტნიორი. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში როდესაც მოხდება მათი გამოცხადება დამტკიცება.

2024 წელში დამტკიცებული და გაცემული 895895,00 ლარი დივიდენდი.

მომწოდებლებთან ანგარიშსწორების აღრიცხვა

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნა სტანდარტული საკრედიტო პირობებით, ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებუ თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს ბასს 21-ის მოთხოვნათა დაცვით.

შრომის ანაზღაურების აღრიცხვა

შრომის ანაზღაურება აღირიცხება ბასს 19-ს – „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების“ მიხედვით.

ხელფასების გაცემა ხორციელდება დადგენილ ვადებში, ყოველი თვის ბოლოს, შრომის კოდექსით განსაზღვრული წესით.

სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვა

დამატებული ღირებულების გადასახადის აღრიცხვა, გაანგარიშება, დეკლარირება და გადახდა წარმოებს - სსკ-ის XXI თავის 156-181 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

მოგების გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება სსკ-ს XIII თავის - მოგების გადასახადი, 96 -99 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

2017 წლის პირველი იანვრიდან გამოიყენება ე.წ. ესტონური მოდელი.

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები ფინანსურ ანგარიშგებაში, აისახება ფაქტობრივი ოდენობებით.

საწარმოს მიერ ე.წ. ესტონური მოდელის ფარგლებში საანგარიშგებო 2024 წელს გაცემული აქვს დივიდენდი - 895895.00 ლარის ოდენობით რაზეც დარიცხული და გადახდილი აქვს - 158099.00 ლარი მოგების გადასახადი. შესაბამისი დეკლარაციები წარდგენილი შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე RS.ge.

საშემოსავლო გადასახადი აღირიცხება სსკ-ს XI თავის 79-82 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად. რის თანახმადაც საანგარიშგებო პერიოდის განაცემებზე დარიცხული და გადახდილია - 125984.0 ლარი საშემოსავლო გადასახადი.

ქონების გადასახადი - სსკ-ს XXIX თავის 200 -206 მუხლების მოთხოვნათა მიხედვით.

2024 წლის გასულ პერიოდში საწარმოს ბალანს რიცხულ ქონებებზე დაერიცხა - 13349,0 ლარი ქონების და 664,0 ლარი მიწის გადასახადი. შესაბამისი დეკლარაცია წარდგენილია დროულად.

სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად განსაზღვრულია და შემდეგი სახით ჩამოყალიბდა ფინანსური ანგარიშგების ქვემოთ წარმოდგენილი მუხლები:

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები ფინანსური წლის ბოლოს გადასინჯულია და მნიშვნელოვანი განსხვავებები წინა შეფასებებისაგან გამოვლენილი არ არის. შესაბამისად, სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილებები არ არის.

შპს „მომავლის ხედვა“-ს მთ. ბუღალტერი:

უშანგი ფუტყარაძე

ფინანსური ანგარიშგებები

შპს „მომავლის ხედვა“ ს/ნ 2456608640

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის

ყველა თანხა მოცემულია ლარში

31.12.2024 წ. 31.12.2023წ.

აქტივი

აქტივები

ფული და ფულის ექვივალენტები	999491	2171347
მოკლევადიანი მოთხოვნები	3519173	2595460
სასაქონლო მატერიალური მარაგი	9157837	9253115
სულ მიმდინარე აქტივები	<u>13676501</u>	<u>14019922</u>
ძირითადი საშუალებები	2137039	1435012
სულ გრძელვადიანი აქტივები	<u>2137039</u>	<u>1435012</u>
სულ აქტივები	<u>15813540</u>	<u>15454934</u>

პასივი

ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები	3377770	3584162
გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0
სულ მიმდინარე ვალდებულებები	<u>3377770</u>	<u>3584162</u>
კაპიტალი	200	200
გაუნაწილებელი მოგება/ ზარალი	12435570	11870572
სულ კაპიტალი	<u>12435770</u>	<u>111870772</u>
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	<u>15813540</u>	<u>15454934</u>

მთავარი ბუღალტერი:

უშანგი ფუტყარაძე

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2024 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	01.01.2024
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	0	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	228816	1017332
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	770675	1154015
	<u>999491</u>	<u>2171347</u>

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	01.01.2024
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2157543	1616188
ავანსად გაცემული ფულადი სახსრები	1113010	832613
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები (გადახდილი გადასახადი)	248620	146659
	3519173	2595460

მარაგები

მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	01.01.2024
მარაგები (აშენებული სარეალიზაციო ფართები)	9157837	9253115
	9157837	9253115

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი შენობები	შენობები	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა
01/01/2024	450905	0	788637	122997	524342	44466
შემოსვლა	0	116712	0	3192	867935	18871
გასვლა	0	0	3771	0	39976	0
31/12/2024	450905	116712	784866	126189	1352301	63337
დაგროვილი ცვეთა	0	0	-125599	-89856	-256260	-24620
01/01/2024						
პერიოდის ცვეთა	0	-5836	-32775	-7266	-222086	-7959
გასვლა	0	0	0	0	-14391	0
31/12/2024	0	-5836	-158374	-97122	-463955	-32579
01/01/2024	450905	0	663038	33141	268082	19846
31/12/2024	450905	110876	626492	29067	888346	30758

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	01.01.2024
მოწ. და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	93055	72502
მყიდველების მიერ გადახდილი ავანსები	3273882	3511036
	3366937	3583537

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ 2024 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	01.01.2024
მოწ. და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	10833	625
	10833	625

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	01.01.2024
საწესდებო კაპიტალი	200	200
გაუნაწილებელი მოგება	12435570	11870572
	12435770	11870772

შემოსავლები

საწარმოს შემოსავლებმა 2024 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა - 3327487 ლარი, რაც წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024
რეალიზაციიდან (გაყიდვებიდან)	2680606
ქონებისა და სატრანსპორტო საშუალებების იჯარიდან	390476
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	256405
	3327487

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციულმა ხარჯებმა 2024 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა - 280712 ლარი, რაც წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024
საოფისე ხარჯები	2326
სატრანსპორტო საშუალებების რემონტის ხარჯი	58754
კომუნალური ხარჯები	60406
ბანკის მომსახურების ხარჯი	1508
სოციალური დანარიცხები	6962
დაზღვევა	6241
სხვადასხვა მომსახურების ხარჯები	2836
საგადასახადო ხარჯები	14013
არასაოპერაციო ზარალი	127666
	280712

საწარმოს მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი წარდგენილი და გადახდილი აქვს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	999491	2171347	1482685
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2157543	1616188	1255857
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1113010	832613	747136
მარაგები	9157837	9253115	9784405
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	9157837	9253115	9784405
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	248620	146659	287040
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	495
ძირითადი საშუალებები	2137039	1435012	1379743
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	15813540	15454934	14937361

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	3366937	3583537	4636927
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	10833	625	16763
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	11151
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	3377770	3584162	4664841

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	200	200	200
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	12435570	11870572	10272320
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	12435770	11870772	10272520
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	15813540	15454934	14937361
სულ მოკლევადიანი აქტივები	3519173	2595460	2290033
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	0	0	0

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	3327487	4498976
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	390476	304372
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	2680606	4016249
სხვა	256405	178355
გაყიდვების თვითღირებულება	-999632	-1484596
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	2327855	3014380
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-152465	-126611
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-275686	-117910
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-280712	-176508
სულ საოპერაციო ხარჯები	-708863	-421029
საოპერაციო მოგება	1618992	2593351
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1618992	2593351
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1618992	2593351
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1618992	2593351
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	11870772	10272520
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-895895	-995099
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-158099	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	12435770	11870772
კვლევისა და განვითარების ხარჯები	0	0

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-1171856	688662
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-1171856	688662
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2171347	1482685
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	999491	2171347